

სასჯელის პროპორციულობის პრინციპი საკანონმდებლო  
განსაზღვრისას და სასამართლოს მიერ შეფარდების დროს



ნათია თავდუმაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კარლო ნიკოლეიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2022

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია თავდუმაძე

2022 წელი

## აბსტრაქტი

პროპორციულობის პრინციპი ერთ-ერთი ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპია, რომელიც განსაზღვრავს საჯარო უფლებამოსილების საზღვრებს. სწორედ ის უზრუნველყოფს დაკისრებული სასჯელის სამართლიანობას. ჩადენილ დანაშაულთან სასჯელის პროპორციულობის მოთხოვნის იდეა ჯერ კიდევ კაცობრიობის ადრეულ ეტაპზე გვხვდება. პირველი დამსჯელობითი ინსტიტუტები, როგორც იყო სისხლიანი მტრობა და ტალიონი - დაფუძნებული იყო პროპორციულობის იდეაზე. თანდათანობით, სოციალური ურთიერთობების განვითარების პროცესში, პირდაპირი ფიზიკური სასჯელები, სისხლის შუღლი და ტალიონი, ჩანაცვლა ზარალის მატერიალური ანაზღაურების პრინციპმა. ამავდროულად, ასევე ჩნდებოდა თანამედროვე მიდგომები დანაშაულთან სასჯელის პროპორციულობის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

დღეს პროპორციულობის პრინციპი საკანონმდებლო რეგულირებისა და სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრაქტიკული განხორციელების საფუძველია ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. ეს პრინციპი აქტიურად გამოიყენება ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკაში, ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით. პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს, რომ სანქციის დაკისრებისას შეფასებული იყოს საჯარო და კერძო ინტერესები, ასევე დამნაშავეზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ერთი მხრივ, პროპორციულობის პრინციპი კანონმდებელს აკისრებს ვალდებულებას, დანაშაულის და სასჯელის საკანონმდებლო განსაზღვრისას უზრუნველყოს ჩადენილი ქმედებისა და დაკისრებული სანქციის ურთიერთთანაფარდობა. მეორე მხრივ, სასამართლო სასჯელის შეფარდებისას ვალდებულია კანონით დადგენილ ფარგლებში დამნაშავეს შეუფარდოს ჩადენილი ქმედების და მიზნების პროპორციული სასჯელი. საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის გათვალისიწნებთ შესაძლებელია განისაზღვროს თანაზომიერების პრინციპის

ძირითადი არსი და მისი მნიშვნელობა სასჯელის სახისა და ფარგლების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრის და სასამართლოს მიერ შეფარდების დროს.

**საკვანძო სიტყვები:** თანაზომიერება, სამართლიანობა, სასჯელი, სანქცია, შესაფერისობა, თანაფარდობა.